ცნობის ფურცელი

№ 2150 სამშაბათი, 13 მაისი 1896—1903 ყოველ-დღიური გამოცემა № 2150

გაზეთის ფასი: წლიწადში—6 მან., ცალკე თვეში 50 კ. ნომერი—5 კაპ., დამატებით—5 კ. ფასი განცხადებისა: ერთ ფეხიანი სტრიქონი „პეტიტით“ პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხეზე—5 კაპ.
ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბე“-„ცნობის ფურც.“ რედაქციის კანტორაში ვანქის დიდ ქუჩაზე, № 27 და წ. კით. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქაშვეთის ეკკლესიის პირდაპირ).

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—[illegible] მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეებს გარდა, შუადღის 11—1-ს საათამდე.
ტელეგ. ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели“-„Моамбе“. ტელეფონი № 372.

ტფილისის
კერძო სამკურნალო
მკურნალის მ. ხ. მუსხელაშვილისა.
(გედევანიშვილის სახლი)
ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე,

დილით:

მ. მ. ჩეჩინაძე—კბილის სნეულებანი 8—10 საათამდე.

ნ. ი. მუღინი. ყურის, ყელისა და ცხვირის 9—10.

მ. დ. დამბაშიძე—შინაგანი: ორშაბათობით, ოთხშაბ. და შაბათობით 10—11 ს.-მდე.

მ. მ. მადალაშვილი—შინაგანი 10—11 საათამდე, სამშაბათობით, ხუთშაბათობით.

მ. ი. ახალშენიშვილი—კბილის სნეულებანი 10—11 საათამდე.

დ. ა. ბედიანიშვილი, შინაგანი, ნერვებისა და წამლობა ელექტრონით 12—1 ს.

მ. მ. მანსვეტოვი. შინაგანი, ნერვებისა და ბავშვებისა: კვირაობით 10—12.

ბ. ი. ამბარდანოვი—სიფილისისა, კანისა და საშარდესი 1—2 საათამდე.

ექ. მ. ხოზოლიშვილი—ქირურგია და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათობით, პარასკევობით და შაბათობით 1—2 საათ.

საღამოთი:

ა. ზ. მადალაშვილი—შინაგანი, ბავშვებისა და ყვავილის აცრა 5—6 საათამდე. (მიკრო-ქიმიური და ბაქტერიოლოგიური გამოკვლევა.).

მუსხელაშვილი, 5—6 საათ.

მუდმივი ექიმი **ა. დ. ნასარიძე.**

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახი.

ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ.; ოპერაციები მორიგებით. კრაოტები—სამი მანათიდან ხუთამდე.

ადრესი: კუკია, ნიკოლოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, №-21. (აგზადის ქუჩის დასაწყისში.) ტელეფონი № 274 (წლ.

კბილის ექიმი
ივანე პავლეს ძე
ახალშენიშვილი
იღებს ყოველ-დღე კბილის სნეულებით ავადმყოფებს დილის 8—10 საათ. და 11—2-მდის, ხოლო საღამოობით 5—7-დის. კვირა-უქმე-დღეებში 9—2-დის და საღამოთი 5—7-დის.

ელისაბედის ქუჩა, 38. (წლ.

კვირას, 25 მაისს ბანკის ბაღში და ქართულ თეატრში გაიმართება „ქართველთა შორის წ.-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ სასარგებლოდ
სახალხო სეირნობა
საქველმოქმედო ბაზრითურთ.

შემოწირულებათა გამოგზავნა ამ ბაზრისათვის შეიძლება კნ. ოლგა თადეოზის ასულს ჭავჭავაძესთან, (ნიკოლოზის ქუჩა, № 21) და ქართ. შორის წ.-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელარიაში (სასახლის ქუჩა, თავად-აზნაურობის ქარვასლა). (0—12)

მებრილიანტე
კ. დ. კობახიძე,
მაღაზია იმყოფება შუა ბაზარში, არმიანსკი და სოლომონოვის ქუჩის კუთხეში, სახლი თულაევისა. ამ დღეებში მივიღებთ დიდძალ საეკლესიო ნივთებს და ხატებს.

სამოსახლო ადგილი
300 ჩარსა საჟ.
იყიდება
ვერაზე, ხევს იქით, სათ.-აზნ. სკოლის შენობის პირდაპირ.

იკითხეთ: „წერა-კითხვის საზოგადოებაში“ ქურუკაშვილთან, ან ოსიპოვსკის ვიწრო ქ. კრასნოგორსკის ქუჩიდან, სახლი ხატიევისა, № 7, მე-9 ნაწილში. (10—5.—6)

ექიმი
ვ. ლამბაშიძე
იღებს შინაგან და საბავშვო სნეულებით ავადმყოფებს საღამოს 6—7 საათამდე.

ბინა: ბარონის ქუჩა, № 22, დიდი ბანკის [illegible] კუთხისთან. ტელეფონი 612

ექიმი
ვ. ს. მუსხელიშვილი
მიიღებს თვალით ავადმყოფებს დილით 1—3 საათ., საღ. 6—7. წყნეთის ქუჩა № 24 სახლი ვაჩნაძისა. (წლ.)

საზღვარ-გარედ

ინგლისი. ლიბერალურ ფედერაციის კრებამ სკარბოროში ბევრი რეზოლიუცია დაადგინა. ამათში შემდეგი რეზოლიუციებია ყურადღების ღირსი:

1) კონსერვატიულ პარტიის ბატონობის დროს სახელმწიფო ხარჯს უსაზღვროდ მოემატა, ხალხის უმრავლესობას გადასახადთა მძიმე ტვირთი დააწვა და ვაჭრობის თავისუფლების დიდებული პრინციპი დაირღვა; ინგლისის ეროვნული კეთილ-დღეობა კი სწორედ ამ პრინციპზე იყო დამყარებული. მთავრობის ამნაირი პოლიტიკა დიდად აწუხებს და აფიქრებს ფედერაციის საბჭოს. 2) სოციალურ რეფორმის შესასრულებლად და ხალხის ყოფის გასაუმჯობესებლად, აუცილებლად საჭიროა, რომ ადგილები დეპუტატთა პალატაში უფრო სამართლიანად იყოს განაწილებული ყველა კლასებ შუა. ამისათვის თავდა-პირველად საჭიროა, საქმე ისე მოეწყოს, რომ ღარიბ და მშრომელ კლასს დაუბრკოლებლივ შეეძლოს პარლამენტში თავიანთ კანდიდატების ამორჩევა; საჭიროა საარჩევნო უფლება ყველა სრულ-წლოვან მოქალაქეს მიეცეს, ერთ კაცს რამდენიმე ხმა ჰქონდეს, საარჩევნო ხარჯი სახელმწიფოს დეეკისროს და პარლამენტის წევრებს ჯამაგირი დაენიშნოს. 3) ლორდთა პალატის უფლება დემოკრატიულ წესებს არ შეეფერება და სახელმწიფოს მყუდროებისათვის საშიშია; ამიტომ ფედერაციის საბჭოს აზრით, მომავალმა ლიბერალურმა მთავრობამ პირველისავე შემთხვევით უნდა ისარგებლოს და მოითხოვოს, რომ ხალხის სურვილსა და ნებას, დეპუტატთა პალატაში გამოთქმულს, კანონის ძალა ჰქონდეს.

✦ 2 მაისს პირველმა მინისტრმა ბალფურმა და კოლონიების მინისტრმა ჩემბერლენმა სიტყვები წარმოსთქვეს და სულ სხვა-და-სხვა აზრი გამოსთქვეს პროტექციონიზმსა და ვაჭრობის თავისუფლებაზე. ამიტომ გაზეთები ბევრს სწერენ მინისტრების ნალაპარაკევზე.

ბალფურთან პროტექციონისტების დეპუტაცია მისულა და უთხოვნია, პურის ბაჟს ნუ გააუქმებთო. ბალფურს უპასუხნია: პურის ბაჟი მარტო სამხედრო ხარჯების გასასტუმრებლად იყო დაწესებული, ხალხი ძლიერ ჯავრობს ამ ბაჟზე, ამიტომ მთავრობასაც საჭიროდ მიაჩნია პურის ბაჟის გაუქმება. მფარველობით ბაჟების დაწესება ინგლისში მხოლოდ მთელის ხალხის თანხმობით შეიძლება. იქმნება დადგეს ისეთი დრო, როცა ხალხი პროტექციონიზმს მიემხრობა, მაგრამ ჯერ ეს დრო არ დამდგარა და მომავალიც, მგონი, ვაჭრობის თავისუფლებას ეკუთვნოდეს და არა პროტექციონიზმსაო

სულ სხვა აზრი გამოუთქვამს ჩემბერლენს. კოლონიების მინისტრს ამავე დღეს ბირმინჰამში ულაპარაკნია და უთქვამს: „ვაჭრობის თავისუფლების მომხრე კობდენისა და ბრაიტის შემდეგ საქმის გარემოება სულ მთლად შეიცვალა. ეხლა რომ ცოცხლები იყვნენ, თითონ კობდენი და ბრაიტიც მოითხოვდნენ საშეღავათო ბაჟების დაწესებას ბრიტანიის კოლონიებისათვის. ვაჭრობის თავისუფლებას მხოლოდ ცოტაოდენი ხალხი ემხრობა; ამ თავისუფლებას მარტო „პატარა ინგლისის“ მომხრენი თხოულობენ. ამათ თითონ არ ესმით რიგზე, რა არის ნამდვილად ვაჭრობის თავისუფლება, ამიტომ ინგლისმა ყური არც კი უნდა უგდოს ამ ხალხის აზრს.“

გაზეთები ერთხმად ამბობენ, რომ ბალფურმა და ჩემბერლენმა სულ სხვა და სხვა აზრი გამოსთქვესო. უნიონისტურ გაზეთების უმეტესობამ ჩემბერლენის მხარე დაიჭირა. „ტაიმს“-ი, „დეილი მეილ“-ი, „მორნინგ პოსტ“-ი აცხადებენ: ბალფურმა იმედი არ გაამართლაო. „მორნინგ პოსტ“-ი აღტაცებულ წერილს უძღვნის ჩემბერლენს და ამბობს: ეხლანდელ თაობას ჯერ ესეთი სიტყვა არ გაუგონია, როგორიც კოლონიების მინისტრმა წარმოსთქვაო. აისითანა შესანიშნავი სიტყვა დიდი ხანია არავის უთქვამსო. ეს სიტყვა ნამდვილად დიდებულის სახელმწიფო კაცისა და მეთაურის საკადრისი სიტყვა იყოო. „დეილ მეილ“-ი აცხადებს: დროა ჩვენებური პარტიები სულ სხვანაირად მოეწყოსო. უკიდურეს კონსერვატორების გაზეთს, „სტანდარდ“ საც კი ჰკუაში ირ მოსდის ბალფურის

ფელეტონი

სერგეი მესხი

(მოგონებანი ასოთ-ამწყობისა)

აგერ ოცი წელიწადი სრულდება, რაც სერგეი მესხი სალიტერატურო ასპარეზს უდროოდ მოსწყვიტა შეუბრალებელმა და დაუნდობელმა სიკვდილმა. მე, რასაკვირველია, იმის ლიტერატურულ შრომისა და მოღვაწეობის გამოკვლევას არ შევუდგები. არც კი რა ჩემი საქმეა ეს. მე, როგორც იმის გაზეთის ამწყობად ნამყოფს, მინდა მოვიგონო ზოგიერთი ამბავი, როგორ ექცეოდა ასოთ-ამწყობთ სტამბაში, ან რა სიღარიბესა და გაჭირვებაში იყო განსვენებული რედაქტორობის დროს.

სიღარიბე მეთქი, მოგახსენეთ. სიღარიბე და გაჭირვება ქართულ რედაქციას დაბადებიდანვე თან ჰყვება, მაგრამ ისეთს, როგორიც „დროების“ რედაქცია იყო, აგერ ოცდაათი წელიწადია, გაზეთის ამწყობადა ვარ და ჯერ არ მოვსწრებივარ.

ხშირად მინახავს ზამთრობით რედაქციის ფანჯრები ყინვით შეთოშილი. რედაქციაში ნახევარჯერ ცეცხლი არ ენთო და ყინვასიცივე ბატონობდა, მაგრამ ამ ბატონს განსვენებული არ ეპუებოდა. ერთი შალი ჰქონდა, მოიხურავდა ბეჭებზე, მიუჯდებოდა მაგიდას და მარტოდ-მარტო ამზადებდა დღიურ გაზეთის დედანს. ბეჭები რომ დაუთიბებოდა, ხელის თითები ეყინებოდა; მიი- ორთქლით ათბობდა. საკვირველი ის იყო ამ ღარიბ რედაქტორისა, რომ როცა ფულს იშოვნიდა, სხვას, უფრო ასოთ-ამწყობთ, უზიარებდა და თავისი თავი ავიწყდებოდა. მაგრამ იმდენს მაინც ვერა ჰშოულობდა, რომ თვისა ან წლის ბოლოს ყველასთან გასწორებულიყო. ვალი ემატებოდა ყოველ-წლობით, მაგრამ იმედს მაინც არა ჰკარგავდა: სწამდა მომავალი, სწამდა, რომ მკითხველი გამრავლდებოდა და ის ერი, რომელსაც იგი ემსახურებოდა, ოდესმე გაიღვიძებდა. ამიტომ გაჭირვება და სიღარიბე არ აშინებდა და ხელს ვერ აღებინებდა სალიტერატურო შრომაზე.

განსვენებულს კარგად ესმოდა დღიურ გაზეთზე მომუშავეთა ტანჯვა, ამიტომ ყოველ ღონეს ხმარობდა, გაეადვილებინა ამწყობისათვის მუშაობა დედანის კარგად გასწორებით და დროზე დამზადებით. უყვარდა ასომთავრულების ხმარება ყოველ სტრიქონის დასაწყისში და ყოველ წერტილის შემდეგაც. ყოველ გაუგებარ სიტყვებს გასაგებად და გარკვევით დასწერდა, რომ კითხვისა და კორექტურის *) დროს ამწყობი არ დატანჯულიყო. როცა ბევრ ასაწყობს მომცემდა, საყვედურით ვეტყოდი:—ამდენს როდის მოვასწრობ, რა ამბავია-მეთქი! და გაზეთის დედანს სტოლზე დავუყრიდი. დინჯად და წყნარად მეტყოდა: ნუ ხარ ახირებული კაცი, მოიცა აქ და გამოვაკლებ, რაც მეტია, ამისთვის რა გაჯავრებს-ო!

ხშირად ისარლიშვილი სტანჯავდა, ბევრს ჰშლიდა, სასტიკი იყო. სიტყვა „საქართველო“ რომ დაენახა წერილში, კალმით ხომ არ წაშლიდა, წითელ მელანს დაასხამდა ზედ. ერთხელ იმდენი ამოშალა, რომ ნახევარი გაზეთი განცხადებით ძლივს შეივსებოდა. მაშინვე კაცი გავუგზავნე სერგეის რედაქციაში და თან შემდეგი წერილი გავატანე: „ბატონო სერგეი! ისარლოვს ძალიან შიებია, შენი გაზეთი მიურთმევია. თუ შეიძლება, ჩქარა უშველე, თორემ ხვალ გაზეთის მკითხველებს მოშივდება“-მეთქი. ამ საღამოს ძალიან დაღალული ვიყავი, ერთი წუთი საათად მეჩვენა. სერგეიმ ცოტა დაიგვიანა. ამიტომ გავბრაზდი და მივუტოვე გაზეთი. მე რომ სტამბიდან გავედი, ის მაშინ შესულიყო სტამბაში. იქ დამბეჭდავი ენახა. განსვენებულს ცენზორის ფურცლები გადაეთვალიერებინა და დაღონებული წასულიყო შინ. მეორე დღეს მივედი სტამბაში, მეგონა გაზეთზე აღარ მამუშავებდა, მაგრამ ეს ფიქრი გამიცრუვდა: იმისაგან მომივიდა შემდეგი წერილი: „დიოდიმე, *) რამდენჯელ მითქვამს შენთვის, ახირებული ნუ ხარ-მეთქი. რა იქნებოდა 5 წუთი მოგეცადა და ნახევარი ნომერი მაინც გამოგვეყვანა! ხომ იცი, ავადა ვარ და სირცხვილი არ არის შენთვის, რომ ავადმყოფს ასე მომექეცი? გიგზავნი დღეს გაზეთის დედანს, იმდენი მაინც ამოაწყე, რამდენიც მოუნდება გუშინ დარჩენილს“.

გამიკვირდა და დავღონდი. მაწუხებდა ის აზრი, რომ ავადმყოფ კაცს ასე მოვექეცი.

შემოდგომის მიწურული ყველა რედაქტორს ახარებს და ამხნევებს: ფულიანი კონვერტი კონვერტზე მოდის რედაქციაში. რამდენ კონვერტსაც გახსნის რედაქტორი, იმდენი თუმნიანი გამოჰყოფს თავს. მაგრამ სერგეი რომ კონვერტს გახსნიდა, ერთ უბარაქო მანეთიანისა და ათასში ერთხელ სამ მანეთიანის მეტს ვერას დროს ვერ გამოაძვრენდა კონვერტიდან. ერთხელ, ქრისტეშობისთვის დამლევს, გაზეთის დედანისთვის სულთამხუთავსავით ვადექი თავზე. ფანჯრები ჩვეულებრივ ყინვით შეთოშილი იყო. შალი მოეხვია ბეჭებზე და თითებსაც პირის ორთქლით ითბობდა. ამ დროს რედაქციაში ბიჭი შემოვიდა. ფოსტიდან სამი კონვერტი მოიტანა. სერგეიმ გახსნა. ერთიდან ძალზე გაცვეთილი სამ-მანეთიანი გამოძვრა. მეორეშიაც სამ-მანეთიანი აღმოჩნდა. რედაქციის სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა. გახარებული სერგეი მესამე კონვერტის გახსნას შეუდგა, მაგრამ იქიდან მანეთიანი გამოცოცდა. თან ამ მანეთიანს შემდეგი ბარათი ახლდა: „ბ. რედაქტორო! გიგზავნი ერთ მანეთს და მიგზავნე თქვენი გაზეთი. დანარჩენ რვა მანეთს თვე და თვე გაახლებთ“. ამნაირი წერილი ხშირად მოდიოდა რედაქციაში, მაგრამ ეს დანარჩენი რვა მანეთი „თვე და თვე“ აღარ მოდიოდა. აი, ასეთი ბარაქიანი ხელის მომწერი „დროებას“ ჰყავდა სულ 200—400-მდე.

ზაფხულობით თითქმის ყოველ რედაქცია-

---

*) კორექტურას სტამბაში ასწორებდა 1881 წლის დამლევამდე. 1882-დან განსვენებული ხშირად ავადმყოფობდა, ამიტომ ანდრია ღულაძეს გადასცა კორექტურის სწორება, ღულაძემაც 1882 წლის დამლევამდე გაუძლო ამ ტვირთს, შემდეგ დავით მესხმა იკისრა

სიტყვა და ჩემბერლენს ემხრობა, თუმცა სხვა დროს ეს გაზეთი არც თუ ძლიერ თანაუგრძნობს ჩემბერლენს. ოპოზიციის გაზეთები კი, რაღა თქმა უნდა, ბალფურის მხარეს იჭერენ და აშკარად სიხარულს აცხადებენ, რომ მინისტრებს ასეთი უთანხმოება მოსდით ერთმანეთში. „დეილი ნიუს“-ი და „დეილი ქრონიკლ“-ი ჰკითხულობენ: ჩემბერლენი მფარველობით ბაჟებისა და კოლონიების სადამოჟნო კავშირის მომხრე ყოფილა, მაშ რანაირად მოხდა, რომ, სამინისტრომ პურის ბაჟის გაუქმება მოითხოვა. „მორნინგ ლიდერ“-ი აცხადებს: ეტყობა, ჩემბერლენი ცდილობს თავის ამხანაგებს მოაშორდეს, ეხლანდელი სამინისტრო დასცეს და ახალი სამინისტროს მეთაურად თითონ გახდესო.

საფრანგეთი. ამ ჟამად აქა ცდილობენ, რომ ეკკლესია სახელმწიფოსაგან განაცალკევონ. გაზ. „ლანტერნ“-მა ამის თაობაზე პეტიცია შეადგინა; ამ პეტიციაზე 80 ათას კაცს მოუწერია ხელი.

მარსელიდან სწერენ „ბერლინ. ტაგებლატ“-ს: კვირას აქ დიდი დემონსტრაცია მოახდინეს. დემონსტრაციაში 5 ათას კაცზე მეტი იღებდა მონაწილეობას. ამოდენა ხალხმა პრეფექტურის წინ გაიარა და პრეფექტს ადრესი ჩააბარა. ადრესში ხალხი ბეჯითად თხოულობს, ეკკლესია სახელმწიფოსაგან განცალკევდესო.

◆ ემილ ზოლას ძეგლის ნიმუში დაუმზადებიათ კიდეც. ორსავე მოქანდაკეს, შარპანტიესა და მენიეს პირობა მიუციათ, ძეგლი სამის წლის შემდეგ იქნება მზადაო. ნიმუში ამნაირია: ზოლა კლდეზე დგას მამაცად და მზადაა მედგარი ბრძოლა დაიწყოს სიმართლისათვის. ზურგს უკან ჭეშმარიტების ქანდაკება უდგა და გზას უჩვენებს. ძეგლის საფეხურთან სხვა და სხვა სიმვოლიური სურათებია გამოქანდაკებული: დედა ბავშვს აწოვებს, გარშემოც შვილები ახვევია; მჭედელს მძიმე ჩაქუჩი უჭირავს. ორივე სურათი ზოლას უკანასკნელ რომანებიდან—„ნაყოფიერებიდანა“ და „შრომიდანაა“ აღებული. ძეგლი ტიულერის ბაღში იქნება დადგმული.

ბალკანეთი. „ნ. ფ. პრეს.“ს დეპეშით ატყობინებენ: თუმცა მონასტირში დინამიტი არ აღმოუჩენიათ, მაინც ოსმალოს ჯარმა 20 ქრისტიანი მოჰკლა და 40 დასჭრა.

◆ აღმოსავლეთ მაკედონიის სხვა და სხვა ოლქში ოსმალები კიდევ იჭერენ ქრისტიანების საუკეთესო წარმომადგენლებს; დანარჩენი ხალხი ძალა-უნებურად ტყეში იხიზნება. ოსმალები აქ იარაღს დაეძებენ.

◆ „ფრემდენბლატ“-ი ერთ მაკედონელ რევოლიუციონერის, პანტევის, ნათქვამს გადმოგვცემს. პანტევს უთქვამს: მთელი ის მხარე, სადაც აჯანყებაა, 54 ოლქადაა გაყოფილი; ყოველი ოლქი მოვალეა თითო რაზმი შეაიარაღოს და საბრძოლველად გამოიყვანოს. სალონიკში მომხდარი აფეთქება პირველი გაფრთხილება იყო ევროპისათვის, ამას სხვა აფეთქებაც მოჰყვება, რადგან დინამიტი მთელის წლისათვისაა დამზადებულიო. ამ ჟამად 150 რაზმი მოქმედებს. ამ რაზმებში სულ 2 ათასი კაცი ითვლებაო.

ევროპის გაზეთები კი სულ სხვას ამბობენ: მაკედონია თან-და-თან მშვიდდებაო. ძლიერ საეჭვოა, რომ, წლეულობით მაინც, მაკედონიის მოძრაობა ხელ-ახლად დაიწყოს და გაძლიერდესო.

ახალი ამბავი

◆ ტფილისის გუბერნატორის განკარგულებით შესდგა კომისია. ამ კომისიამ სანიტარულის მხრივ უნდა დაათვალიეროს ტფილისის მახლობლად მდებარე **სააგარაკო ადგილები**. კომისიაში არიან: საგუბერნიო ექიმის თანაშემწე მაჭავარიანი და სოფლის მკურნალი თამაჯანოვი. კომისიამ უნდა დაათვალიეროს კოჯორი, მანგლისი და აღბულახი.

◆ ტფილისის ვაჭართა საზოგადოებამ მდგომარე წლის ხარჯთ-აღრიცხვაში უკვე შეიტანა 1000 მანეთი 10 **სტიპენდიის დასაარსებლად საკომერციო სასწავლებელში**. სტიპენდიები დაენიშნებათ სექტემბრიდან ღარიბ ტფილისელ ვაჭრების შვილებს. ამ სტიპენდიების დაარსების ნებართვა გუბერნატორმა უკვე დართო.

◆ 11 მაისს **უნდა მომხდარიყო კრება** იმ სასწავლებლების ღარიბ მოწაფეთა დამხმარებელ საზოგადოებისა, რომელსაც ტფილისის თვით--მართველობა ინახავს, მაგრამ არ შესდგა, რადგან ოთხი კაცის მეტი არ გამოცხადდა. როგორც ანგარიშიდანა სჩანს, შარშან ამ საზოგადოებას შემოსავალი ჰქონია 6914 მანეთი, ხარჯი—3016 მ. დანარჩენი სათადარიგო თანხისთვის მიუმატებია. დღეს ამ თანხისა საზოგადოებას 9931 მანეთი აქვს. საზოგადოება უკეთეს იზამს, ეს ფული, შენახვის ნაცვლად, რამეს მოახმაროს. კარგი იქმნება, მაგალითად, საზოგადოებამ ქალაქთან ერთად იზრუნოს ღარიბ მოსწავლეთათვის საზაფხულო ახალშენის დასაარსებლად. ამაზე სასწავლებელთა კომისიამაც აღძრა ლაპარაკი, მაგრამ უსახსრობისა გამო ვერა მოახერხა-რა

◆ წარსულ კვირას ფინანსთა სამინისტროს მიერ გამოგზავნილმა მოხელემ პლატოვმა **სახელმწიფო ბანკის ტფილისის განყოფილების რევიზია** მოახდინა.

◆ კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების საბჭო დღეს, 13 მაისს, სხვათა შორის, განიხილავს მოხსენებას **საზოგადო კრების დანიშვნის** შესახებ.

◆ „ბაქ. იზვ.“-ში ვკითხულობთ: „ბაქოს გუბერნატორის შუამდგომლობით **ტფილისიდან ბაქოში გაიგზავნა** მსროლელთა მეოთხე ბატალიონი, რომელმაც დახმარება უნდა გაუწიოს ადმინისტრაციას. ბატალიონი 9 მაისს დილის 7 საათზე მოვიდა“.

◆ ამ ბოლოს დროს **ბაქოდან ტფილისში დიდ-ძალი ხალხი ჩამოდის**. მოდიან ოჯახობით.

◆ ხუთშაბათს, 15 მაისს, ტფილისიდან ახალქალაქსა და შემდეგ ახალ-ციხეში მიემგზავრება ტფილისის **ოლქის სასამართლოს სესია** საქმეების განსახილველად. სესია აღნიშნულ ქალაქებში 25 მაისამდე დარჩება.

◆ 11 მაისს, ნიკოლოოზის ქუჩაზე არსებულ კათოლიკეთა ეკკლესიაში **მწირველი იყო ტირასპოლელი ეპისკოპოსი**. ხალხი დიდ-ძალი დაესწრო წირვას.

◆ ამას წინად საქართველოს სამხედრო გზაზე **მლეთისა და გუდაურის შუა ზვავები ჩამოწვა**. როგორც გვატყობინებენ, ერთის ვერსის მანძილზე გზა უკვე გაუწმენდიათ.

◆ 11 მაისს, კათოლიკეთა ქუჩაზე **საძირკველი ჩაჰყარეს ებრაელთა ახალ სამლოცველოსი**. ეს სამლოცველო ააგეს უმთავრესად ტფილისში მცხოვრებ ევროპიელ ებრაელთათვის. ასეთი ებრაელი 4000-მდე იქმნება ტფილისში. საძირკვლის ჩაყრის დროს დამსწრეთ ერთმანეთში 900 მანეთამდე შეაგროვეს კიშინევში დაზარალებულ ებრაელთა სასარგებლოდ.

◆ ქალაქის გამგეობაში ლაპარაკია აღძრული იმის შესახებ, რომ საბჭოს **ექიმებს გზის ფული დაენიშნოთ**. ჰფიქრობენ აგრეთვე ქალაქის სამკურნალოებში ღამ-ღამეობით ექიმთა მორიგეობა მოაწყონ.

◆ ტფილისის ვაჭართა საზოგადოებამ განიზრახა, ტფილისში დაარსებულ **სავაჭრო სკოლას ა. ი. მანთაშევის სახელი უწოდოს**. მანთაშევი ამ სასწავლებელს 50,000 მანეთს დაჰპირდა. ფინანსთა სამინისტროს სასწავლებელთა კომიტეტმა უკვე აცნობა ვაჭართა საზოგადოებას, იგი წინააღმდეგი არ არის, რომ სასწავლებელს მანთაშევის სახელი ეწოდოს.

◆ ამას წინად ტფილისის ქალაქის **გამგეობა შეეკითხა პეტერბურგისას** აქვთ თუ არა ინსტრუქცია კერძო შემნახველ გამსესხებელ კასებისა და ლომბარდების სახელმძღვანელოდ. გუშინ პეტერბურგის ქალაქის გამგეობამ შეატყობინა, რომ ინსტრუქცია არ არის შემუშავებული, რადგან კანონით ამ დაწესებულებებს თვალ-ყური უნდა ადევნოს თვით-მმართველობამაო.

◆ **ტფილისის იაფ-ფასიან სასადილოებისა და საჩაიების** სასარგებლოდ სობრანიეში გამართულ სეირნობა-ბაზრობიდან შემოსულა წმინდა 1252 მან. 52 კაპ.

◆ ეს რამდენიმე ხანია თიონეთის მაზრა უექიმოდ არის დარჩენილი. **არავინ მიდის მაზრის ექიმად თიონეთში**. ეხლა ქოდალოს (გარედ კახეთშია) სამკურნალოს ექიმს ვ. წერეთელს დეპეშით უცნობებია გუბერნიის ექიმისათვის, რომ მე წავალ თიონეთშიო.

◆ ალიათი: 10 მაისს რკინის გზის მე-729 ვერსზე ჰნახეს უცნობ მატარებლის მიერ გაჭყლეტილი მუშა ორლოვი.

◆ 18 მაისისათვის დანიშნულია ვაჭართა საზოგადოების კრება გადასახადთა გამწერ კომისიის წევრთა ამოსარჩევად. ამ დღიდან თანამდებობის აღსრულებას შეუდგება ვაჭართა მამასახლისად არჩეული პ. ი. ალიბეგოვი.

◆ კვირას, 11 მაისს, ხოჯა-გრიგორიანთა ვერის სასაფლაოზე აკურთხეს ძეგლი, რომელიც ქალაქმა შიოევის ქალს დაუდგა. ძეგლის ცალ მხარეს აწერია: „ეს ძეგლი ქალაქმა აუგო ქველ-მოქმედს ნატალია შიოევისას“. კურთხევას დაესწრნენ ქალაქის მოურავის მოადგილე, გამგეობის წევრნი და ზოგიერთი ხმოსანნი.

◆ იმ კომისის თავმჯდომარემ, რომელიც დასაფასებელ გადასახადების პატიების საქმეს განაგებს, გადასცა გამგეობას განცხადება. სწერს, სამი თვეა კომისია საქმეს ვერ შესდგომია, რადგან გამგეობა და მისი მოხელენი საჭირო მასალას არ აძლევენო. გამგეობას ჯერ იმათი სია-კი არ გადაუცია, ვისზედაც გადასახადია დარჩენილი.

◆ ტფილისის სახალხო სკოლების ინსპექტორმა უკვე დანიშნა დრო ეგზამენებისათვის ტფილისის თვით-მმართველობის სკოლებში. ვერის პირველსა და მესამე სკოლაში მოხდა ეგზამენი 12 მაისს, ვერის მეორე და ქალთა სასწავლებელში—დღეს, 13 მაისს მოხდება, მთაწმინდისა და დიდუბისაში—16, კუკიის პირველსა და მეოთხე სკოლაში—17, კუკიის მეორე და ჩუღურეთისაში—19, ავლაბრის მესამე და ავლაბრისავე ქალთა სკოლაში—20, ავლაბრის პირველსა და მეორე სკოლაში—21, ამაღლებისა და სოლოლაკისაში—22 და ხარფუხისაში—23 მაისს.

◆ წარსულ კვირას ტფილისის სახელოსნო რწმუნებულებმა აარჩიეს 12 კაცი სახელოსნო გამგეობისათვის საკუთარ სადგომის ასაშენებლად. კომისია ხვალ, 14 მაისს, დაათვალიერებს პოლიციის მე-5 ნაწილში ერთს ადგილს, რომლის შეძენაც განიზრახეს.

◆ დღეს, 13 მაისს, ტფილისის სახელოსნო გამგეობის სადგომში მოხდება არჩევნები კანდიდატებისა და ამქრების მამასახლისებისა.

ჩამოშვებულნი სხედან. მაშინ აღარც კი ინდომებენ გაზეთის გამოცემას, რომ შემოდგომა არ აგონდებოდეთ. „დროების“ რედაქციაში ზამთარშიაც ქესატობა იყო, ზაფხულში ხომ თვალზე მისაფარებელ აბაზიანს ვერ იშოვნიდი. გაზეთი კი ხარჯს ზამთარ ზაფხულ თანაბრად თხოულობდა. სხვა რომ არა ყოფილიყო-რა, ქაღალდის ფული მაინც უნდა ეშოვნა.

ერთ ზაფხულის დღეს, როცა გაზეთი დავამზადე დასაბეჭდათ, დამბეჭდავმა მითხრა: ქაღალდი არ არის გაზეთისთვისაო. ამ დროს რედაქციის ბიჭიც სტამბაში იყო. მე, რასაკვირველია, ვუთხარი ბიჭს,—შეატყობინე რედაქტორს, რომ ქაღალდი არ არის გაზეთისთვის და ჩქარა გამოგზავნოს-მეთქი. ბიჭმა მითხრა: სად არის, კაცო, ქაღალდის ფული! რედაქციას ნატისუალი ასდის! იმ დღესაც ბალიშები დააგირავა ქაღალდისთვის და ჯერ ისიც არ დაუხსნია, წადი და შენ უთხარი, მე ვერ ვეტყვიო. წაველ რედაქციაში. სერგეი გაზეთის გასაგზავნ ადრესებს ამზადებდა. ვუთხარი ქაღალდის ამბავი. „უჰ!“ დაიძახა სერგეიმ, დააგდო ადრესები, ამოიღო ჯიბიდან ვერცხლის საათი და მითხრა: აი, ეს საათი წაიღე იზმიროვთან (ქაღალდის მაღაზია ჰქონდა), ჩემ მაგიერ უთხარ, იქნება ორი თუმნის ქაღალდი მოგცეს, გამოართვი და წაიღებინე მუშას სტამბაშიო. მეც, რასაკვირველია, საათი იზმიროვის მაღაზიაში წავაბრძანე, იქ ერთი თუმნის ქაღალდი მომცეს, მოვკიდე მუშას და წავაღებინე სტამბაში. როცა გარედ გამოვდიოდი მაღაზიიდან, იზმიროვმა იოხუნჯა: „აბა, შვილო, შენ ერთი ბეწო რაღაც მოიტანე და მე კი მუშით გაგატანე სამაგიეროო, კიდევ იტყვით ქართველები, რომ სომხები ავი კაცები არიანო?!“.

აი, ასე წვალებით მიდიოდა „დროების“ ბეჭდვა ზაფხულობით.

რედაქციაში გაზეთის დედანი მივაკითხე. ნ. ნიკოლაძე და გ. წერეთელი იქ იყვნენ. გ. წერეთელი კითხულობდა ახლად დაწერილს და ჯერ დაუბეჭდავს, „არანკას“, ნიკოლაძე და სერგეი ყურს უგდებდნენ. როცა გაათავა კითხვა გიორგიმ, ნიკოლაძე მობრუნდა და სერგეის პაპიროზი სთხოვა. სერგეიმ საპაპიროზე უჩვენა, რომელიც ცარიელი იყო და თან უთხრა: „ხომ ჰხედავ, არაფერი მაქვს შიგაო“. ამ დროს ნიკოლაძემ სერგეის სტოლზე ერთი სამ შაურიანი დაინახა, მარდად დაავლო ხელი და სიცილით კარებისკენ გააქანა. სერგეიმ დაუწყო ხვეწნა. „ნიკო, შენი ჭირიმე, არ წამართვა, ჩემი სადილის ფული ეს არის.“ ნიკოლაძე კიბეებზე ჩარბოდა და თან მიიძახოდა: „რას ამბობ, სერგეი, რა დროს სადილია, ჯერ პაპიროზი მინდაო,“ ცოტა ხანმა გაიარა, ნიკოლაძემ ისევ შემოირბინა რედაქციაში, ხელში პაპიროზები ეჭირა. „სერგეი, რამდენი გინდა პაპიროზი ან ფული? ბლომათა მაქვს ყველაფერი, ნუ გეშინიან!“ უთხრა სერგეის, თან პაპიროზიც მისცა და ექვსი მანეთი ფულიც. თითონ-კი ხელად გაჰქრა რედაქციიდან. სერგეიმ გაკვირვებით წამოიძახა: „ეს დასაქცევი, სწორედ ეშმაკია, როცა უნდა, ფულს ქვიდანაც-კი გამოაძრობსო“. მართლა და საშინელი მოხერხებული კაცი იყო ნიკოლაძე. ფულისა არც შოვნა უჭირდა და არც დახარჯვა ენანებოდა.

ერთხელ მეტად გაჯავრებული არ მინახავს განსვენებული სერგეი მესხი. წინად ერთი ასოთ-ამწყობი ჰყავდა, ღვინო ძალიან უყვარდა. დღე და ღამე რომ ღვინიან ტიკში ყოფილიყო შემძვრალი, არ მოსწყინდებოდა. როცა ფულს იშოვნიდა, ასეც შვრებოდა. სერგეი ძალიან იტანჯებოდა. ერთხელ ამ ტიკის მოყვარე ასოთ-ამწყობს შუადღეზე ჯამაგირი მიეღო რედაქციაში, თან მაელი გაზეთის დედანიც. იქიდან პირდაპირ ღვინის სარდაფში წასულიყო ამხანაგებით. დაემწკრივებინათ ბოთლები და დაეწყოთ ქეიფი. სერგეის ეგონა, ჩემი გაზეთი იწყობაო და ხუთ საათზე სტამბაში მოვიდა, კორექტურა უნდა გაესწორებინა. ჰნახა, რომ არც ამწყობია სტამბაში და არც აწყობილი რამე. იკითხა. უთხრეს სარდაფშიაო. სერგეიმ იცოდა, ეს ტიკ მოყვარე ასოთ-ამწყობი რომელ სარდაფში ბინავდებოდა, რადგან ასეთი შემთხვევა იმ ამწყობთან ბევრჯელ მოსვლოდა. ამიტომ გაექანა იმ სარდაფისკენ. მე ცნობის-მოყვარეობამ გამიტაცა და სერგეის უკან დავედევნე. სერგეი პირდაპირ სარდაფში ჩავიდა. ჰნახა, რომ გაზეთის ამწყობნი რიგიანად ჩამბალიყვნენ. ამწყობმა მიაძახა: „სერგეი სვიმონიჩ, მობძანდი, მობძანდი, ღვინო მიირთვი, ოოჰ, რა წითელი ღვინოა!“ სერგეი გაწითლდა, გაცეცხლდა, მივიდა ახლო და ხვეწნით უთხრა:—ზაქარ, რა უყავი გაზეთის დედანი? „გაზეთის დედანი, სერგეი სვიმონიჩ, ჯიბეშია!“ გადაზნექით უთხრა ამწყობმა.—ზაქარ, მაშ გაზეთი არ უნდა გამოვიდეს ხვალ? „რა დროს გაზეთია, ბატონო სერგეი! წითელ ღვინოს გაზეთი რითი სჯობია! უუჰ, ვენაცვალე ამის გამჩენს! მობძანდი, მიირთვი და, რას მიყურებ?“—ზაქარ ადექ, გეყოფა, იქნება ნახევარი ნომერი მაინც მოვახერხოთ როგორმეო. ბევრი ეხვეწა განსვენებული, მაგრამ ტიკ-მოყვარე ამწყობი სკამიდან ვერ დაძრა. სტოლზე ხუთი ღვინით სავსე ბოთლი კიდევ იდგა; გაბრაზებულმა სერგეიმ მოუქნია ჯოხი და ხუთივე ბოთლი შუაზე გადაამტვრია. ტიკ-მოყვარე ამწყობმა მიაძახა: „ზაპლოტიშ, სერგეი სვიმონიჩ, ზაპლოტიშ“ ო. სერგეიმაც დახლიდარს ხუთ-მანეთიანი გადაუგდო, ხურდა აღარ მოუთხოვნია განსვენებულს და გამოვარდა გარედ.

დადგა 1883 წელიწადი. განსვენებული სერგეი ავადმყოფობამ დასძლია. ველარ შესძლო დღიურ გაზეთის გაძღოლა. ამიტომ ექიმების რჩევით თავი უნდა დაენებებინა ამ მძიმე ტვირთისათვის. გადასცა გაზეთი ივანე მაჩაბელს და თვითონ შეუდგა სოფელში გამგზავრების თადარიგს. გამოეთხოვა მკითხველ საზოგადოებას წერილით. ეს წერილი დაიბეჭდა გაზეთ „დროება“-ში: კორექტურაც თვითონ გაასწორა (წერილი ცენზორის მხრივ ძალიან შემოკლებულია) და როცა გასწორებული კორექტურა გადმომცა, ვკითხე: „ეგ არის, ანებებ შვილივით ნაამაგარ გაზეთს და სალიტერატურო შრომას თავს-მეთქი?“ განსვენებულმა გაკვირვებით მითხრა: „ვინ გითხრა? მე სოფელში იმიტომ კი არ მივდივარ, რომ სალიტერატურო შრომას თავი დავანებო, მივდივარ იმიტომ, რომ ცოტა ხანს დავისვენო, ავადმყოფობას თავი დავაღწიო, ახალი ღონე მოვიკრიბო, რომ შემოდგომაზე ხელ-ახლა შევუდგე კვირეულ სურათებიან გაზეთის გამოცემასო.“

წავიდა, მაგრამ რედაქციაში დაბრუნება აღარ ჰღირსებია განსვენებულს.

დიომიდე კიღაძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

◆ ამას წინად კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების საბჭოს წევრმა ვ. ა. სოკოლოვმა განცხადება წარუდგინა საბჭოს და სთხოვა, ტფილისის საბაღოსნო სკოლის სამეურნეო კომისიის წევრობისაგან განმათავისუფლეთო.

◆ ტფილისის გუბერნიის სამკურნალო განგეობამ მისწერა გუშინ სიღნაღის მაზრის ქვემო-მაჩხაანის სასოფლო-სამკურნალოს გამგეს, წარმოადგინეთ ცნობები 4 უკანასკნელ თვის განმავლობაში სამკურნალოს მოქმედების შესახებო.

◆ ტფილისის გუბერნატორმა მისწერა გუშინ თელავის მაზრის უფროსს, განკარგულება მოახდინოს, რომ ქვემო ხოდაშენის მიძინების ეკლესიას მიუზომოს სახელმწიფო ადგილის ერთი ნაჭერი სასაფლაოს მოსაწყობად.

◆ გორის მაზრის სოფელ წაღკადან გვატყობინებენ, რომ იქ მუცელა გაჩენილა.

◆ როგორც სიღნაღის მაზრის სოფელ უნდაურს და კაკაბეთიდან გვწერენ, იქ ეს ორი კვირაა ძალიან მძვინვარებს წითელა. ამ ხნის განმავლობაში ავად გამხდარა 35 კაცი, გარდაცვლილა 7.

◆ ბათუმი: 10 მაისს, რკინის გზის მე-91 ვერსზე ბათუმისკენ მიმავალ მატარებლიდან გადმოვარდა კონდუქტორი დიაშინი. მატარებელმა ზედ გადაუარა და გაჭყლიტა.

◆ სუფსა: 10 მაისს, ნაშუადღევის 4 1/2 საათზე, ნატანებიდან სუფსაში მომავალი მატარებელი № 22 წამოეწია ლიანდაგზე ერთ ურუმუნ კაცს. მატარებელმა ფეხი მოსტეხა ამ კაცს. დაშავებული ბათუმის საავადმყოფოში გაგზავნეს.

◆ რიყის ქუჩაზე მეეზოვეს დაუნახავს უცნობი კაცი, რომელსაც რაღაც ნივთები მიჰქონდა თურმე. მეეზოვე შეჰკითხებია, უცნობს ნივთები დაუყრია და გაქცეულა.

◆ ქუთაისის გუბერნიის მცხოვრებთ ერასტი მაისურაძეს და ვასილ სხირტლაძეს გუშინ-წინ ალიხანოვის პურის საწყობში საქურდლად ჰნდომებიათ სახურავიდან ჩასვლა, მაგრამ შეუტყვიათ და ორივენი დაუჭერიათ.

◆ 10 მაისს, პოლიციის მე-9 ნაწილში, მიხეილის ქუჩაზე, ცხენის რკინის გზის ვაგონში ტფილისის მოქალაქის მოსე ალიხანოვისთვის გრიგოლ ტარასინოვს ჩამოუგლეჯია ოქროს საათი და გაქცეულა. ქურდს გამოსდევნებიან და დაუპატიმრებიათ.

◆ ხუთშაბათს, 15 მაისს, სხდომა ექმნება ქუჩებისა და მოედნების საუკეთესო სისტემით მომკირწვლელ კომისიას.

ქუთაისის ახალი ამბები

◆ პარასკევს, 9 მაისს, ქალაქის ბაღში ქ-ნ ა. ბ. ლორთქიფანიძის თაოსნობით გაიმართა სეირნობა ქუთაისის გიმნაზიის იმ ღარიბ მოწაფეთა სასარგებლოდ, რომელნიც წელს ათავებენ მერვე კლასს. ბაღში დიდმა საზოგადოებამ მოიყარა თავი და მიუხედავად იმისა, რომ საღამოს 9 საათიდან ცოტა წვიმაც წამოვიდა, გათენებამდის დროს ტარება არ შეწყვეტილა. წმინდა შემოსავალი, როგორც გავიგე, 800 მანეთამდის იქმნება.

◆ კათოლიკეთა ტირასპოლელი ეპისკოპოსი ბარონ ედუარდო როპპი, რომელიც 6 მაისს ჩამობრძანდა ქუთაისს, 9 მაისს უკანვე დაბრუნდა. მისი უსამღვდელოესობა დიდის ამბითა და პატივისცემით იქმნა მიღებული ქართველ კათოლიკეთა მიერ.

◆ ადგილობრივ ქალთა კერძო პროგიმნაზიის მმართველმა ამას წინად მიჰმართა შუამდგომლობით კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველს, რომ ნება დაერთო მეხუთე კლასის დაარსებისა. როგორც ეხლა გავიგე, მზრუნველს თავის მხრივ შეუძლებლად უცვნია ამ შუამდგომლობის დაკმაყოფილება. ამგვარისავე შუამდგომლობით მიჰმართა მზრუნველს ქუთაისის სათავად-აზნაურო სასწავლებლის სამზრუნველო კომიტეტმა, მაგრამ ჯერ პასუხი არ მოსულია. სასურველია, მალე გადასწყდეს ეს საკითხი, თორემ მოსწავლენი, მეხუთე კლასის გახსნის იმედით, სხვა სასწავლებლისთვის არ ემზადებიან.

რუსეთის ქრონიკა

◆ ნეაპოლში გარდაიცვალა რუსთა ბელეტრისტი კონსტანტინე სტანიუკევიჩი. განსვენებული დაიბადა 1844 წელს. სწავლობდა ჯერ პაჟებისა, ხოლო შემდეგ საზღვაო კორპუსში. მსახურებდა ფლოტში, მაგრამ 1864 წელს თავი გაანება სამსახურს და სოფლის მასწავლებლად წავიდა (მამა სტანიუკევიჩისა ადმირალი იყო). მწერლობა ძალიან ადრე დაიწყო. სწერდა რომანებს, მოთხრობებს, ამბებს. სახელი გაითქვა „საზღვაო მოთხრობებით".

◆ „ჩერნ. გუბ. ვედ."-ი სწერს: „26 აპრილს გუბერნატორი კონოტოპში წავიდა. გუბერნატორმა მოიარა ქალაქი, შემდეგ დაათვალიერა ის სახლები, სადაც საჩქაროდ დაბარებული ტირასპოლის რაზმი და დრაგუნთა რაზმის ესკადრონი იდგა".

◆ გზათა სამინისტრომ განმარტა, რომ მოხელეების მორიგეობა იმ სადგურებზე, სადაც დიდი მოძრაობაა, 8 საათს არ უნდა აღემატებოდეს, ხოლო იმაზე, სადაც ცოტაა —12 საათს.

◆ „ნოვ. ვრ."-ს დეპეშით ატყობინებენ: „იაპონიის გაზეთები ძალიან ბევრსა სწერენ რუსების მოქმედების შესახებ ჩრდილოეთ კორეიასა და სამხრეთ მანჯურიაში. სიმართლეს მოკლებულია ხმა, ვითომ რუსეთს იალუსა და ჯუ-ალენოვეში ჯარისთვის თავი მოეყაროს. სამხრეთ მანჯურიის ჩინელნი ძალიან შეშფოთებულნი არიან".

◆ პეტერბურგის თვით-მმართველობას დაუდგენია, საიუბილეო დღესასწაულებზე მოიწვიოს, სხვათა შორის, გამოჩენილნი მეცნიერნი, მწერალნი, არტისტნი და მხატვარნი.

◆ როგორც „ვედ. ოდეს. გრად."-შია დაბეჭდილი, ოდესის გრადონაჩალნიკს დაუსჯია 30 კაცი სავალდებულო დადგენილებათა დარღვევისათვის. დასჯილთაგან 23 კაცი „მეშჩანინია", 5 გლეხი და 2 ყაზახი. ხელობით 21 ხელოსანია (ზეინკალი, თერძი, მეწაღე და სხვანი), 5 დღიური მუშა, ერთი ვაჭარი, ერთი მწერალი და ერთიც უადგილოდ დარჩენილი კაცი.

◆ შიდა რუსეთში უკვე დაიწყო ცეცხლის გაჩენის „სეზონი". ხან ერთი კუთხიდან მოდის ამბავი, ხან მეორიდან, რომ გადაიწვა სახლებიო. ამას წინად დაბა ბერეჟნიცაში (ვოლინის გუბერნია) 500 სახლი გადაიწვა. ზარალი 500 ათას მანეთს აღემატება თურმე.

◆ სიმფეროპოლის სატუსაღოში, როგორც ადგილობრივი ოფიციალური გაზეთი გადმოგვცემს, პატიმართ უწესოებანი მოუხდენიათ. „უწესოება ორი დღე იყო. საჭირო შეიქნა ჯარის დაბარება. საქმე უბრალო ჩხუბით დაიწყო პატიმართა შორის, შემდეგ ჩხუბი ისე გაძლიერდა, რომ რვა კაცი, მძიმედ დაშავებული, საავადმყოფოში წაიყვანეს. მაშინვე მივიდნენ გუბერნატორი, ჟანდარმთა უფროსი, ბრალმდებელი და სხვანი. როგორც იყო, პატიმარნი დააწყნარეს. გუბერნატორმა ყველგან ჯარი ჩააყენა".

◆ დონის როსტოვშიაც გაუვრცელებიათ ხმა, რომ ებრაელები უნდა ამოჟლიტონო. როგორც „პეტ. ვედ."-ს ატყობინებენ, ებრაელნი ამ ხმას ძალიან შეუშინებია. ებრაელთ ოლქის უფროსისათვის მიუმართნიათ შემწეობის აღმოსაჩენად. 30 აპრილს მოელოდნენ უწესოებებს. სასტუმროები შეძლებულ ებრაელებით გაივსო თურმე. პირველ მაისს მაღაზიები სულ დაკეტილი იყო. გარედ ვეღარც ერთ ებრაელს ვეღარ შეჰხვდებოდით. საბედნიეროდ, მოლოდინი არ გამართლდა და დღემ მშვიდობიანად ჩაიარა.

◆ მთავრობას აზრადა აქვს, სამხედრო ბეითლებს ჯამაგირი მოუმატოს.

◆ გიმნაზიისა და რეალურ სასწავლებლების მასწავლებელთ ჯამაგირს 1905 წლიდან მოუმატებენ.

პრესსა

გლეხობას რომ ცოტა ადგილი აქვს, ამას უარს არავინ ჰყოფს. „ბირჟ. ვედ."-ს აზრით, საჭიროა მთავრობამ ამ გარემოებას ყურადღება მიაქციოს და გლეხობას მიწა უშოვნოს.

საჭიროა მოეწყოს საადგილ-მამულო ფონდები. ამ ფონდის ფულით მამული უნდა შეიძინონ უადგილ-მამულო გლეხთათვის. ასეთი ფონდი დააარსეს ყირიმის გერმანელებმა. ფონდის წყალობით, უადგილ-მამულონი იქ ძალიან იშვიათია. დაარსდა ფონდი ამ ნაირად. როგორც ვუწყით, გერმანელებმა დასახლების დროს მეტად დიდი მამული მიიღეს—214 ათასი დესეტინა. ნაწილი ამ მამულისა გაუყოფელი დასტოვეს გერმანელებმა. იჯარით აძლევენ მიწას და საიჯარო ფულს ფონდს უმატებენ, რომლითაც უადგილ-მამულოთათვის ადგილს ყიდულობენ. შემოსავალი გერმანელებს ძალიან დიდი აქვთ. მელიტოპოლის მაზრაში მამული აძლევთ 60 ათას მანეთს საიჯარო ფულს, ბერდიანის მაზრაში—80 ათას მანეთს. აი, ამ შემოსავლიდან შესდგა ფონდი.

25 წლის განმავლობაში ამ ფონდის შემწეობით დიდ-ძალი მამული შეუძენიათ გერმანელებს. მარტო მელიტოპოლის მამულის შემოსავლით 50 ათასი დესეტინა უყიდნიათ სხვა-და-სხვა გუბერნიაში უადგილმამულო ახალშენების დასასახლებლად. გაზეთის აზრით, აი, ასეთი ფონდები უნდა დაარსდეს სხვაგანაც. ადგილი ფონდის შესადგენად გლეხობას უნდა დაუთმოს მიწათ-მოქმედების სამინისტრომ.

ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა მორიგი კრება

11 მაისის კრება

კრება გაიხსნა ნაშუადღევის 1 საათს. თავმჯდომარემ წაიკითხა ყველა წარსულ კრებების ოქმები, რომელნიც შეუცვლელად დამტკიცდა. ამის შემდეგ თავმჯდომარემ სიტყვიერად მოახსენა კრებას, რომ ორი წერილობითი განცხადება მაქვს კიდევ თქვენთვის მოსახსენებელი—ერთი ბ-ნთ თუმანიშვილისა და იოსელიანისა ტფილისში პოლიტეხნიკუმის დაარსების შესახებ, მეორეც —ბ-ნთ ღიასამიძისა, გაბაშვილისა და სხვ. უნივერსიტეტის დაარსების შესახებ, მაგრამ ამ განცხადების წაკითხვა და კამათის დაწყება მეტად მიმაჩნია, რადგან ყველამ კარგად ვიცით, რომ პოლიტეხნიკუმიც კარგია ჩვენთვის და უნივერსიტეტიც და, თუ იმის გარჩევას შევუდექით აქ, რომელი უფრო საჭიროა, ეს შორს წაგვიყვანს. ამიტომ უმჯობესად მიმაჩნია, თუ თქვენც ინებებთ, ამ საგანზე კამათს თავი დავანებოთ და პირ-და-პირ დავადგინოთ, რომ ჩვენთვის საჭიროა უმაღლესი სამეურნეო სასწავლებელი. ამასთანავე ისიც მინდა მოგახსენოთ, რომ სწორედ ამ გვარი საჭიროება სცნო საგუბერნიო კომიტეტმაც, სადაც სავსებით იყო ეს საგანი გამორკვეული, და კიდეც აღნიშნეს ტფილისის გუბერნიისათვის ამისთანა სასწავლებლის საჭიროება.

თავ. გ. მ. თუმანიშვილი ამბობს, რომ სადაც კი გაუხსნიათ უმაღლესი სამეურნეო სასწავლებელი, ყველგან რამდენიმე განყოფილება დაუარსებიათ ამისთანა სასწავლებელში. ჩვენ რომ სამეურნეო სასწავლებელი ვითხოვოთ და დაგვიარსონ კიდეც, შესაძლებელია მარტო ერთი განყოფილება გახსნან —მარტო სამეურნეო, მაშინ როდესაც ჩვენი ქვეყნისათვის მეტად საჭიროა ისეთი სასწავლებელი გაიხსნას, სადაც ამ განყოფილების გარდა სამთო განყოფილებაც იქმნეს. ქალაქ ტფილისმა უკვე აღძრა ამისთანა სასწავლებლის დაარსებაზე სათხოვარი—ეს არის პოლიტეხნიკუმი სამეურნეო და სამთო განყოფილებით. კარგი იქმნება თავად-აზნაურობამაც მხარი დაუჭიროს ტფილისს ამ სათხოვარში, რომ საქმე მალე განხორციელდეს.

გ. ი. რცხილაძე. იმ განცხადებაზე, რომელიც ჩვენში უნივერსიტეტის დაარსებას შეეხება, სხვებთან ერთად მეც მიწერია ხელი. გთხოვთ ეს განცხადება კრებას მოახსენოთ. უნივერსიტეტზე ლაპარაკი ახლად არ არის აღძრული თავად-აზნაურობის კრებაზე. 60-იან და 70-იან წლებში თავად-აზნაურობამ კიდეც ითხოვა ჩვენში უნივერსიტეტის დაარსება, მაგრამ იმ ხანებში ამის საწინააღმდეგოდ უმთავრეს მიზეზად მოსწავლეთა რიცხვის სიმცირე მოჰყავდათ. მას აქეთ ბევრმა დრომ განვლო, პირობანი შეიცვალნენ —დღეს მოსწავლეთა რიცხვი იქამდე ავიდა, რომ ერთ უნივერსიტეტს საკმაოდ ეყოფა.

თავ. გ. მ. თუმანიშვილი. ქალაქის მიერ აღძრული სათხოვარი პოლიტეხნიკუმის დაარსების შესახებ მეტად დიდი საქმეა მთელის ქვეყნისათვის. თქვენ თუ ამას მოითხოვთ, ამით საქმეს წინ წავაგდებთ, მალე განხორციელდება და სწორედ იმას მიიღებთ, რაც თქვენვე გნებავთ და თქვენთვისვე საჭიროა, რადგან უმაღლესად ნაბოძების ფულებით თუ საშუალო სამეურნეო სასწავლებელს დავაარსებთ, აქ სწავლა-დამთავრებული პირ-და-პირ აქაურსავე პოლიტეხნიკუმში შევა, სადაც ერთი განყოფილება სწორედ სამეურნეო იქმნება.

თავმჯდომარე აცხადებს, რომ თავად-აზნაურობას ქალაქისაგან და არც იმის წარმომადგენელთაგან არ მოსვლია სათხოვარი, ჩვენთან ერთად თქვენც პოლიტეხნიკუმი ითხოვეთო; ამიტომ შეუფერებლად მიმაჩნია თავად-აზნაურობამ თავის-თავად დაადგინოს, ქალაქს შევუერთდეთ ტფილისში პოლიტეხნიკუმის დაარსების საქმეშიო. ასეთი შეერთება იქმნება არც კი მსურთ სხვებს. ჩვენ უნდა ჩვენი საკუთარი სათხოვარი აღვძრათ და საკმარისად უნდა ჩავთვალოთ, თუ უმაღლესი სამეურნეო სასწავლებელი მოგვცეს.

გ. ი. რცხილაძე. ქალაქი პოლიტეხნიკუმსა თხოულობს, საგუბერნიო კომიტეტს უმაღლესის სამეურნეო სასწავლებლის საჭიროება უცვნია; ჩვენ არც ერთსა და არც მეორეს არ უნდა მივეკედლოთ, ჩვენ უნივერსიტეტის დაარსება ვითხოვოთ, მით უფრო, რომ აქ ოთხმოცდა ცხრამეტი გიმნაზიაში სწავლა-დამთავრებულთაგანი უნივერსიტეტში მიდის და არა სპეციალ სასწავლებელში.

თავ. ვ. გ. მაჩაბელი ურჩევს კრებას ერთიანად ქალაქის სათხოვარს დაუჭიროს მხარი, მით უფრო, რომ პოლიტეხნიკუმის დაარსებისათვის თანხა მზად არის, მაშინ როდესაც უმაღლეს სამეურნეო სასწავლებლისათვის ჯერ არავითარი თხოვნა არ არის და დიდი ფული-კი დასჭირდება იმის დაარსებასაო.

თავ. ვ. ნ. ჩერქეზიშვილი. წინად ქალაქიც უნივერსიტეტის დაარსებას ჰფიქრობდა, იმ ხანებში ამისათვის 10 ათასი თუმანიც გადასდო ქალაქმა და ეხლაც შენახული აქვს ეს ფული, მაგრამ უნივერსიტეტის დაარსება შეუძლებელი შეიქმნა. სამოსწავლო ოლქის მზრუნველს იანოვსკის რამდენჯერმე უთქვამს, რომ კავკასიაში უნივერსიტეტის დაარსება ძნელი მოსალოდნელია, უმაღლესი სპეციალი სასწავლებელი-კი მოხერხდება, თუ ნივთიერი მოთხოვნილება დავაკმაყოფილეთო. ამ მიზეზით და სხვა გარემოებათა მიხედვით ქალაქი დღეს პოლიტეხნიკუმის დაარსებას ითხოვს, მაგრამ ჩვენთვის ამის მიკედლება მაინც არ არის საჭირო: ჩვენ ჩვენი ვითხოვოთ—უმაღლესი სასწავლებელი სამეურნეო განყოფილებით.

თავ. ა. ზ. ჩოლოყაშვილი. თუ მიკედლებაზე წავიდა საქმე, მე ისევ იმას ვამჯობინებ საგუბერნიო კომიტეტის დადგენილებას მივემხროთ, რადგან იქ საჭიროდ სცნეს როგორც უმაღლესი, ისე საშუალო და დაბალი სამეურნეო სასწავლებლების დაარსება ტფილისის გუბერნიაში.

კიდევ სხვებმაც ბევრი ილაპარაკეს და ბოლოს კრებამ დაადგინა: ვითხოვოთ სამეურნეო განყოფილებით, ან სამეურნეო მიმართულების უმაღლესი სასწავლებელი დაარსდეს ტფილისის გუბერნიაშიო.

თავმჯდომარემ მოახსენა კრებას, რომ, თანახმად უმაღლესის ბრძანებისა, თავად-აზნაურთა ბანკის დამფუძნებელთა ფული უნდა პატრონებს დაურიგდეს; ეს ფული (66.618 მან.) დღეს სახელმწიფო ბანკის განყოფილებაშია შენახული ჩემს სახელობაზე და ჩემის ჩეკით უნდა გამოიწეროს იქიდან. მე არ მინდა მარტო ჩემის სახელით გამოიწეროს ეს ფული ბანკიდან, გთხოვთ შემდეგი წესი შემოიღოთ ამისათვის: ფულის გამოწერა ჯერ ყველა წინამძღოლთა კრებამ დაადგინოს და მერე გუბერნიის წინამძღოლმა გამოიწეროს ისე, რომ თავისს ჩეკთან უთუოდ ამ დადგენილების პირიც იყოს თან გაყოლებული. ყოველს შემთხვევაში, თუ ყველა მაზრის წინამძღოლნი არა, გუბერნიის წინამძღოლის გარდა, ორის მაზრის წინამძღოლის დასწრება სავალდებულოდ გაჰხადეთო.

კრებამ ერთხმად მიიღო ეს წინადადება. შემდეგ დაამტკიცეს ინსტრუქცია იმისა, თუ რა წესით უნდა იქმნეს დახარჯული თავად-აზნაურთა თანხიდან ფული და შემდეგ ამისა კრებას მოხსენდა „ქართულ დრამატიულ საზოგადოების" კომიტეტის სათხოვარი, იმათზე დარჩენილის 4900 მანეთის პატიების შესახებ. წინამძღოლთა საბჭოს მოუსმენია როგორც ეს სათხოვარი, ისე თავად-აზნაურთა ქორვასლის მმართველობის დადგენილებაც და საბჭოს შესაძლებლად უცვნია ამ ვალის პატიება იმ მოსაზრებით, რომ დრამატიულ კომიტეტს მოულოდნელი ზარალი შეჰხვედრია და ღონე არ შესწევს ამ ვალის გასტუმრებისაო.

თავ. ა. ი. ბაგრატიონ-მუხრანსკი. თუ ზარალი უნახავს კომიტეტს, ეს იმის მომასწავებელია, საქმის მართვა-გამგეობა არ შეუძლიათ. დროა ბოლო მოვუღოთ ამისთანა სათხოვრებს, თორემ ვალის პატიებით საქმე ვერ გაუმჯობესდება. თუ ამდენი აღარ შეუძლია ქართულ თეატრის კომიტეტს, ბარემ უფასოდ დავუთმოთ ის უბედური თეატრი და გათავდა!...

— საქმე ის არის, რომ ისინი თქვენზე უფრო ღონიერიათ—შენიშნა თავმჯდო-

მარამ: თქვენ გაქვთ რომ მისცეთ, იმათ-კი არა აქვს-რა, რომ მოგცენ.

თავ. გ. ი. თარხნიშვილი, და თავ. ი. ზ. ანდრონიკაშვილი ამბობენ, რომ დრამატიულ საზოგადოების სარგებლობას და იმის მოღვაწეობის დიდ მნიშვნელობას ჩვენ ცხოვრებაში ვერავინ უარს ვერ ჰყოფს, ამიტომ ყოვლის უარის უთქმელად უნდა მივიღოთ თავმჯდომარის წინადადებაო. კრებამ შეიწყნარა დრამატიულ კომიტეტის სათხოვარი და დაავალა შეერთებულ სხდომას წინამძღოლთა და თავად-აზნაურთა მამულის მმართველობისას დაახლოებით გამოიკვლიონ და დააწესონ დრამატიულ კომიტეტის დამოკიდებულება თავად აზნაურთა თეატრთან.

შემდეგ ამისა თავმჯდომარემ მოახსენა კრებას ტფილისის თავად-აზნ. სასოფლო-სამეურნეო თანხის დებულების პროექტი. ეს დებულება შეეხება იმ თანხის ხმარებას, რომელსაც თავად-აზნაურობა მიიღებს ხოლმე საადგილ-მამულო ბანკის მოგებიდან. უმთავრესი დანიშნულება ამ თანხისა ისაა—სესხი მიეცეს იქიდან თავად-აზნაურს და ამხანაგობებს, სასოფლო-სამეურნეო საქმეების განვითარებისათვის; სამეურნეო მრეწველობისა და მეურნეობის სამუშაო თანხად; სამეურნეო ინვენტარის შესაძენად; სასოფლო-მეურნეობის განკარგებათათვის (მელიორაცია); სამუშაოდ მიეცეს თანხა იჯარადართ, თუ გლეხს, რომელნიც თავად-აზნაურთ მამულში მეურნეობას აწარმოებენ. ამ თანხიდან შესაძლოა დაიხარჯოს ფული, წარმოდგენილის დებულების ძალით, თავად-აზნაურთა საშინაო სახმარებელ ნივთების შესაძენად, შრომის ნაწარმოებისათვის საწყობებისა და მაღაზიების დასაარსებლად და სხვა-და-სხვა, რაც კი სასოფლო მეურნეობას შეეხება. სესხი გაიცემა სოლო-ვექსილით საიმედო კაცთა თავდებობით, ან ნაწარმოებისა თუ ყოველ გვარის მოძრავისა და უძრავის ქონების დაგირავებით, მოკლე ვადით (12 თვემდე) და გრძელის ვადითაც—10 წლამდე; ამ შემთხვევაში ვალი ნაწილ-ნაწილ უნდა იქმნეს გადახდილი; სარგებელი სესხისა არ უნდა აღემატოს წელიწადში $6^0/_0$-ს. მართვა-გამგეობა სათავად აზნაურო სასოფლო სამეურნეო თანხისა ევალება: სამაზრო კომიტეტებს, საბჭოს, თავად-აზნაურთა წინამძღოლთ და საგუბერნიო კრებას. აი ძირითადი მუხლები ამ „დებულებისა“.

ცოტა კამათის შემდეგ კრებამ დაამტკიცა იგი.

თავმჯდომარემ მოახსენა კრებას, რომ თუ თავად-აზნაურობას ამდენი შემოსავალი აქვს დღეს თავისს საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად, უპირველესად ამის მადლობელი უნდა ვიყოთ თავ. ი. გ. ჭავჭავაძისა, რომელიც 30 წელიწადია ჩვენის ბანკის სათავეში დგას და საქმეს გულ-მოდგინეთა და წინ-დახედვით ეპყრობაო.

საზოგადოება ფეხზე წამოდგა და ერთიანის ტაშის ცემით მადლობა გადაუხადა თავადს ილიას.

თავ. ი. გ. ჭავჭავაძე. ბატონებო! მადლობელი ვარ პატივისცემისათვის, მაგრამ უნდა მოგახსენოთ, ბანკის წარმართვაში დიდი შრომა მიუძღვით ყველა იქ მოსამსახურეთ დიდისა, თუ პატარა თანამდებობისას ბანკის პირველ დღიდან დაარსებისა. ამიტომ ეს მადლობა და პატივის ცემა ეკუთვნის ყოველს იქ ნამსახურს და აწ მოსამსახურესაც.

კრებამ ყველას მადლობა გამოუცხადა.

მერე კიდევ სხვა საგნებზე ჩამოვარდა კამათი, მაგრამ კრება დაიღალა, გვიან იყო (მეხუთე საათი დაიწყო) და სორშაბათოდ დილის 9 საათისათვის, გადასდვეს როგორც ამ საგნების განხილვა, ისე არჩევანებიც.

თეატრი

ქართული თეატრი. კვირას, ქართულ თეატრში, არტისტისა და დრამატურგის თავ. სუმბათაშვილის პატივსაცემად, ჩვენმა არტისტებმა წარმოდგენა გამართეს. წარმოადგინეს „კაზაიანის“ მეორე მოქმედება და „ხანუმას“ მეორე მოქმედება. მერე ხორომ სიმღერები შეასრულა და ლეკური გაიმართა. წარმოდგენების შემდეგ ვ. აბაშიძემ ადრესი წაუკითხა თავ. სუმბათაშვილს და არტისტების სახელით დაფნის გვირგვინი გადასცა ნ. გაბუნია ცაგარლისამ. თავის მხრივ სუმბათაშვილმა ვერცხლის გვირგვინი გადასცა. თეატრში მყოფმა საზოგადოებამ აღტაცებით ტაში დაუკრა სუმბათაშვილს. დასასრულ იგი ხელით მიიყვანეს ეტლამდე. წარმოდგენის შემდეგ არტისტებმა და პატივისცემლებმა ვახშამი გაუმართეს თავ. სუმბათაშვილს. დაესწრო ოთხმოცამდე კაცი.

—

რუსული დრამატიული დასი. შაბათს, 10 მაისს, მოსკოველმა არტისტებმა ბ-ნ იუჟინის საბენეფისოდ წარმოადგინეს შექსპირის ტრაგედია „ჰამლეტი“. თეატრი ხალხით იყო სავსე. მობენეფისეს აღტაცებით მიეგებნენ და ყვავილების გვირგვინი მიართვეს. იუჟინი ჰამლეტის როლს ასრულებდა და კარგადაც შეასრულა. დამსწრე საზოგადოებას იუჟინი უფრო მოეწონა მესამე და უკანასკნელ მოქმედებაში. კარგად შეასრულა პოლონიუსის როლი პრავდინმაც.

კვირას, 11 მაისს, წარმოადგინეს პოტაპენკოს კომედია „Выгодное предпріятіе“ შინაარსი პიესისა მარტივია. შეძლებულ მემამულე კვაშნინს, ორი გასათხოვარი ქალი ჰყავს და ერთიც 17 წლის ზარმაცი ვაჟი ორესტი (ოსტუშკა). ზაფხულია. ვაჟმა გიმნაზია ვერ დაამთავრა და მამამ საზაფხულოდ მასწავლებელი მოუწვია, მაგრამ ზარმაცი ყმაწვილი, ამასთანავე გასალახსნავებული, ცუდლუტობს და საძაგლადაც იქცევა. კვაშნინის გასათხოვარი ქალები, სხვა-და-სხვა ხასიათისანი არიან. ოლგა (ლეშკოვსკაისა) ცოტა მსუბუქი, დაუდგრომელი ქალია; იმის იდეალს შეადგენს გათხოვება. ოლგა თავის უბედობას აბრალებს უმცროს დას რაისას, რომელიც უფრო ლამაზი და დამჯდარი ხასიათისაა. ორესტისათვის მოწვეულ მასწავლებელს სკვორცოვს (ილინსკი) ეტრფოდა ოლგა, მაგრამ სკვორცოვმა, როგორც ჭკვიანმა ყმაწვილმა კაცმა, რაისა (არსენიევისა) ამჯობინა, შეუყვარდა. რაისაც თანაუგრძნობდა, ეს შენიშნა ოლგამ და საყვედურებით აავსო რაისა იმის გამო, რომ უფროსისთვის წინ ეღობება და არ აცლის გათხოვებას. ჯერ ეს ცხოვრების ძაფი არ გამონასკვულიყო, რომ კოვარნიოვმა, იმ სოფელშივე მცხოვრებმა ღარიბმა აზნაურმა (პრავდინი), კვაშნინის სახლის მატლმა ახარა, რომ ამავე სოფელში პეტერბურგიდან მოვიდა ახალგაზდა მემამულე, მდიდარი, უცოლო, ლამაზი ვოლინოვი (დანსკოი) და თანაც ჰგეხნით დაუმატა, რომ იმის თხოვნით ეწვევა ამათ და შესაძლებელია, ძალიან ადვილად შესაძლებელია კვაშნინის ერთ-ერთი ქალი შეირთოს. ოლგა სიხარულით ელის იმის მოსვლას, რაისა არას იმჩნევს. სკვორცოვს, რომელიც რაისას ეტრფოდა, ეჭვის ნაპერწკალი ებადება. დედას იმედი ეძლევა ერთ-ერთი ქალის გასაღებისა. ორესტსაც რაღაცის იმედი აქვს, უფრო ცხენებისა, რადგან კოვარნიოვმა უთხრა ვოლინოვის ცხენები. მოდის ვოლინოვი და მთელი ოჯახი დაფაცურდა. გაქნილმა ვოლინოვმა მაშინვე იგრძნო რამდენად გამოსარჩევი იყო ეს ოჯახი და შეუდგა კვაშნინის გაცნობას და რომ გული მოეგო მთელი ოჯახისათვის—ჯერ რაისა ჰსთხოვა ცოლად, მაგრამ, რაკი ამან უარი უთხრა,—უფრო დასამტკიცებლად თავის გულკეთილობისა, რადგან ოლგას უნდოდა გათხოვება, მაშინ ვოლინოვმა ოლგა სთხოვა ცოლად. ამ გარემოებამ თავზარი დასცა მთელ ოჯახს. თვით რაისაც კი რაღაცა შურსა ჰგრძნობდა და ეს იყო მიზეზი, რომ სკვორცოვს გული დასწყვეტოდა თავის მისდამი გულ-გრილობით. სკვორცოვი წავიდა. ბოლოს აღმოჩნდა, რომ ვოლინოვი ვალებში იყო ჩაფლული, კვაშნინს დასტყუა ვექსილები და რწმუნების წერილი ბანკიდან ფულის მიღებაზე. ყველა ეს ჯერ სკვორცოვმა გაუმჟღავნა რაისას და შემდეგ ბოქაულმა, რომელმაც შეიპყრო ვოლინოვი პეტერბურგის გზაზე, საითკენაც მიიპარებოდა, რაკი გაიგო, რომ მოვალეები დაატუსაღებდნენ.

შესანიშნავი ანსამბლით ითამაშეს ეს პიესა. ლეშკოვსკაისა შეუდარებელი ოლგა იყო; სცენაზე ჰხედავდით სიცოცხლეს, ნამდვილს ტიპს შეძლებულ მემამულის ქალისას, რომელიც სოფლად სცხოვრობს და, უფლის ფრთით გასუქებული, მხოლოდ გათხოვებაზე ჰფიქრობს. სიცილი, ტირილი, უფლის ნაბიჯის გადადგმა დრმად მოფიქრებული ჰქონდა, ფინჯანს აწოდა მისვლა და გადახედვა, როდესაც თქვენ ვოლინოვი მოდისო, სურათოვანი, შესანიშნავი იყო. ორესტი, (ოსტუშკა) გიმნაზიელი, ნამდვილი თავქარიანი, ნებივრობისაგან გარყვნილ-წათამამებულ ყმაწვილის განხორციელება იყო. კოვარნიოვი (პრავდინი)... არ შეიძლება აიწეროს პრავდინის თამაშობა. უფლის ნაბიჯის გადადგმა, სახის უოვვლდოვვ მომოხვრა, ხმის სმაც კი, წარმოადგენდა ენით გამოუთქმელს სანამდვილეს. ვოლინოვის როლი სუმბათაშვილს უფრო შეეფერებოდა, იუმცა არც ლანსკი იყო ურიგო.

დღეს უკანასკნელი წარმოდგენაა და წარმოადგენენ თ. სუმბათაშვილის პიესას „ჟანტლემენს“

დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

12 მაისი.

ალექსანდროპოლი. საძირკველი ჩაუყარეს ერუ-მუნჯთა სკოლისა, რომელიც პირველია გუბერნიაში. სკოლა 120 ბავშვისათვისაა. სკოლასთან საზოგადო საცხოვრებელი და სავადმყოფოც ექნება.

უფა. უფის თავად-აზნაურობამ გადაწყვიტა აშენდეს ნიში იმ ადგილას, სადაც მოკლულ იქმნა გუბერნატორი.

სარატოვი. ბირჟის საზოგადოების კრებამ დაადგინა დაარსდეს ბიურო, რომელმაც უნდა გამოიკვლიოს ხოლმე, ამ თუ იმ ვაჭარს ან მრეწველს რამდენად შეუძლიან ვალის გადახდა.

კონსტანტინოპოლი. გამოძიებამ იმის გამოსარკვევად, საფუძვლიანია თუ არა ის ეჭვი, ვითომ ცდილიყვნენ ჩაერიათ არეულობაში ელჩების მოსამსახურენი, ვერაფერი ვერ გამოარკვია. შესაძლებელია მისტიფიკაციაა.

ბერლინი. ელჩები იტყობინებიან, რომ მონასტრის მახლობლად, დაბა მოკილთან რომელიც მდებარეობს ორი საათის სავალზე ამ ქალაქიდან, მოხდა ხანგრძლივი ბრძოლა შეერთებულ რაზმებისა და ოსმალთების ჯარს შორის; ოსმალების ქვეითი ჯარს დაეხმარება არტილერია.

როდესაც რუსეთის ელჩმა და სერბიის მინისტრმა მოითხოვა დეჩანის მონასტრის დაცვა, პორტამ უპასუხა, რომ ალბანელები უკვე წავიდნენ იქიდანაო. ხმა დადის, რომ ალბანელების წასვლა პორტას დაუჯდა ძალიან ძვირათ.

ასხაბადი. მდინარე მურგაბი ნაპირებიდან გადმოვიდა, ამიტომ მისვლა-მოსვლა შუა-აზიის გზაზე დაიწყება ხელ-ახლა ორის კვირის შემდეგ.

მარგელანს, სამარყანდს და ტაშკენტში ნაკლებობაა ფქვილისა, ნავთისა და ხე ტყისა.

მინსკი. მინსკში დაარსდა განყოფილება რუსეთის საიმპერატორო მეთევზეობის საზოგადოებისა.

კონსტანტინოპოლი. სოფელ მაკიდას მახლობლად მომხდარა შეტაკება ოსმალთების ჯარებსა და ბოლგარელების რაზმს შორის; ბოლგარელი 13 კაცი მოკლულა. ესენი სრულიად გაუწყვეტიათ ოსმალებს. მოუკლავთ აგრეთვე ოთხი სოფლელი და ორი ქალი; სარბაზნებით დაუნგრევიათ 14 სახლი. ოსმალთაგან სამი მოკლულია და რამდენიმე დაჭრილი. სროლისაგან ატეხილ ხმაურობას აუღელვებია მონასტრის მცხოვრებნი.

პეტერბურგი. აეკრძალულ იქმნა გაზეთ „ზნამიას“ ცალკე ნომრობით გაყიდვა.

რედაქტორ-გამომცემელი **ალ. ჯაბადარი**

გამოსაღები ცნობანი

მიმოსვლა რკინის გზების მატარებლებისა

18 აპრილიდან

(ფრჩხილებს გარედ ნაჩვენებია პეტერბურგის საათი, ფრჩხილებში—ტფილისისა).

ა) ტფილისიდან მიდის:

ბათუმს: 1) სწრაფი მატარებელი № 1 დილის 9 ს. 39 წ. (10 ს. 37 წ.); 2) საფოსტო № 3 საღამოს 5 ს. 20 წ. (6 ს. 18 წ.); 3) სამგზავრო № 5 დილის 6 ს. 51 წ. (7 ს. 49 წ.).

ბაქოს: 1) სწრაფი № 20 (მარტო სამშაბათობით, პირდაპირ მოსკოვამდე) ნაშუადღევის 3 ს. 26 წ. (4 ს. 24 წ.); 2) საფოსტო № 4 დილის 10 ს. 51 წ. (11 ს. 49 წ.); 3) სამგზავრო № 6 ღამის 10 ს. 34 წ. (11 ს. 32 წ.).

ყარსსა და ერივანს: 1) საფოსტო № 74/76 ღამის 11 ს. 32 წ. (12 ს. 30 წ.); 2) სამგზავრო № 90/91 შუადღის 11 ს. 40 წ. (12 ს. 38 წ.).

ბორჯომს: 1) სამგზავრო № 7/8 ნაშუადღევის 2 ს. (2 ს. 58 წ.); 2) სამგზავრო № 9/10 დილის 5 ს. 23 წ. (6 ს. 21 წ.).

ბ) ბათუმიდან გამოდის:

ბაქო-ტფილისისაკენ: 1) სწრაფი № 2 ღამის 10 ს. 24 წ. (11 ს. 22 წ.); 2) საფოსტო № 4 საღამოს 9 ს. 23 წ. (10 ს. 21 წ.); 3) სამგზავრო № 6 დილის 9 ს. 39 წ. (10 ს. 37 წ.).

გ) ბაქოდან გამოდის:

ტფილის-ბათუმისაკენ: 1) სწრაფი № 19 მარტო ტფილისამდე, პარასკევობით, მოსკოვიდან მომავალი) ღამის 3 ს. 42 წ. (4 ს. 40 წ.); 2) საფოსტო № 3 საღამოს 9 ს. 18 წ. (10 ს. 16 წ. 3). სამგზავრო № 5 ნაშუადღევის 1 ს. 03 წ. (2 ს. 1 წ.).

დ) ქუთაისიდან გამოდის:

ბაქო-ტფილისისაკენ: 1) ღამის 1 ს. (1 ს. 58 წ.) 2) დღის 1 ს. 25 წ. (2 ს. 23 წ.).

ბათუმისაკენ: 1) ღამის 1 ს. (1 ს. 58 წ.); 2) დღის 1 ს. 25 წ. (2 ს. 23 წ.); 3) დღის 3 ს. 50 წ. (4 ს. 48 წ.).

შორაპნისაკენ: დღის 2 ს. 10 წ. (3 ს. 8 წ.).

განცხადებანი

იყიდება მამული

ვერაზე, სათავად აზნაურო სკოლის ახალ შენობისა და მართლ მადიდებელ სემინარიის ადგილის შუა, ზომით 8000 ოთხკუთხი საჟენი 35 ნაჭრად გაყოფილი. მამულის ყიდვა მსურველს შეუძლიან საჟენობით; საჟენი 5 მანეთი და მეტიც. ერთად უფრო იაფად დაეთმობა მსურველს. იკითხეთ წყნეთის ქუჩის მისავალში, მარჯვნივ მედუქნე შაქრო და ვაგზალნი ქუჩაზე, „სვეტ“-ის რესტორანში, მებუფეტე სოფრონ ხვედელიანი. (4—3)

ქუთაისში

სამ. ბ. თოფურიას

სამკურნალო,

რომელიც იმყოფება **მათის უმაღლესობის პრინც ალექსანდრე ოლდენბურგელის მფარველობის ქვეშ.** სამკურნალოში 60 საწოლი შინაგან, ნერვებისა, სახირურგიო, დედათა და თვალით ავადმყოფთათვის, მშობიარეთა განყოფილებით და ქიმიურ-მიკროსკოპიულ გამოკვლევათა კაბინეტით. გადამდების სენით და სულით ავადმყოფებს სამკურნალო არა ღებულობს. (0—49)

ტფილისის ქალაქის

გამგეობა

ამით აცხადებს, რომ 17 მაისს, შუადღის 12 საათზე, გამგეობისავე თანადასწრებით, **მოხდება საჯარო ვაჭრობა**, რომელზედაც იჯარით გაიცემა მნაცაკანის ხიდზე გადასახადის მოკრება გამვლელ გამომვლელებსა და საქონელზე.

მსურველთ პირობების გასინჯვა შეუძლიანთ გამგეობის მეოთხე განყოფილებაში ყოველ დღე, კვირა-უქმეებს გარდა, დილის 9-დან ნაშუადღევის 2 საათამდე. დაბეჭდილი კონვერტების წარდგენა შეიძლება 1903 წლის 17 მაისის 12 საათამდე. იმან, ვისაც ვაჭრობაში მონაწილეობის მიღება უნდა, ბედ უნდა წარადგინოს 1500 მანეთი. (2—2)

გამოვიდა და იყიდება

ტფილისში: ქართველთა ამხანაგობის და წერ. კით. გამავრც. საზოგადოების წიგნის მაღაზიებში და **ქუთაისში:** გ. მიტრ. ლაღიძესთან.

ქართული ანდაზები

ფრანგულად თარგმნილი

თ. სახოკიას-მიერ

ფასი ათი შაური (4—1)

სასტუმრო „ავრორა“

მიხეილის პროსპექტზე, ვარანცოვის ძეგლთან.

ეს საუცხოვოდ მოწყობილი სასტუმრო ნომრებით, ყვავილიანის ბაღით, რესტორანით და ცალკე საოჯახო-სასადილო-ვახშმო კაბინეტებით, 26 აპრილიდან შევიძინე და გავხსენი ახლად. მაქვს ევროპიულ-ადგილობრივი საჭმელ-სასმელები. სადილი: 50 კ.—2 კერძი, ჭიქა არაყი, ღვინო და ფინჯანი ყავა; 70 კ.—3 კერძით; 1 მ.—4 კერძი და 1/2 ბოთლი ღვინით. ლუდი ჭიქით. ფასები ყველაფერზე ხელ მისაწვდომია. ღვინოები 30 კაპეიკიდან, ოთახები ძლიერ დაკლებულ ფასებში.

(6—86—2) პატრონი სასტუმროსი **მეთიძე გ. კეჭეჯაძე**